ტრენინგ-კურსი: სკოლის დირექტორთა (მოადგილეთა) პროფესიული განვითარება

მოდული: „სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმი“ საჯარო სკოლების არჩეული დირექტორისა და მოადგილეებისათვის.

ტრენინგის მიზანია: მონაწილეებმა შეძლონ სასკოლო სასწავლო გეგმისა და საგნობრივი კურიკულუმების შექმნის, განხორციელების, მონიტორინგის/შეფასებისა და რევიზიის პროცესის ფასილიტაცია.

ტრენინგის მოსალოდნელი შედეგები: კურსის დასრულების შემდეგ მონაწილეები გაეცნობიან: • ცვლილებებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში; • უცხოეთის გამოცდილებას კურიკულუმების შექმნის მიმართულებით.

ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეები შეძლებენ: • სასკოლო სასწავლო გეგმის კომპონენტებისა და სტრუქტურის განსაზღვრას; • სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი პრინციპების გააზრებას სწავლება-სწავლის ხარისხთან მიმართებით; • კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების / დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მნიშვნელობის გააზრებას; • საგნობრივი კურიკულუმის კომპონენტების განსაზღვრას; • სწავლის უნივერსალური დიზაინის არსისა და მნიშვნელობის გააზრებას; • სკოლის დირექტორის როლის განსაზღვრას საგნობრივი კურიკულუმების შექმნის პროცესში; • კურიკულუმის დიზაინის ვარიანტების განხილვას; • კურიკულუმის განვითარების აუცილებლობის გააზრებას და მის მეთოდოლოგიაზე მსჯელობას.

მოდულის ხანგრძლივობა და დროში განაწილება: 8 საკონტაქტო საათი, 2 სესია, ერთი სესია - 4 საათი.